ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 264

"1" ოქტომბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ფხოვის ქ. №3-ის მიმდებარედ არსებული 53 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.15.04.020.034) შპს „დელისთვის" (ს/ნ: 400267117) იჯარით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ფხოვის ქ. №3-ის მიმდებარედ არსებული 53 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.034) შპს „დელისთვის" (ს/ნ 400267117) იჯარით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 09 სექტემბრის №20.1033.1275 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ფხოვის ქ. N3-ის მიმდებარედ არსებული 53 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.034) შპს „დელისთვის" (ს/ნ: 400267117) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 12 800 (თორმეტი ათას რვაასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე